ეროვნული ბიბლიოთეკა

# მივესალმებით სახელოვან იუბილარს

ჩვენ, პრესის მუშაკები, რესპუბლიკის მშრომელები ზეიმით აღვნიშნავთ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე საქართველოში დაბადებული გაზეთი მაშინვე მხარში ამოუდგა ბოლშევიკურ პარტიას, მტკიცედ ჩადგა საქართველოს მშრომელთა სამსახურში. გაზეთი იყო და არის მშრომელი მასების ორგანიზატორი, ბევრი შესანიშნავი წამოწყების მოთავე.

გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" არსებობის 50 წლის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა მეგობრობის განმტკიცებისთვის. იგი იბრძოდა ხალხთა მეგობრობის ლენინური პრინციპების გამარჯვებისთვის, კომუნისტური პარტიის ენით ესაუბრებოდა მშრომელ ხალხს, როგორც აგიტატორი, უნერგავდა მათ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეებს. გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" განუზომელი წვლილი შეიტანა საქართველოსა და მოძმე სომხეთის რესპუბლიკების დედაქალაქებს — თბილისსა და ერევანს შორის, აგრეთვე, ქუთაისსა და ლენინაკანს შორის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში.

„ზარია ვოსტოკა" დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება საინტერესო, საქმიანი სტატიები, ნარკვევები ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე.

საქართველოს მრავალი ათასი ფიზკულტურელისა და სპორტსმენის სახელით მხურვალედ მივესალმებით ჩვენს უფროს კოლეგას და ვუსურვებთ, რომ კვლავაც იყოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის მტკიცე მებრძოლი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის მომღერალი.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 127 (4637)

1972 წ. 1 ივლისი, შაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რეკორდები

**უტრეხტი, 29 ივნისი.** ამ ქალაქის 50-მეტრიან ღია აუზში ჰ. ბეინსხოტენმა 1,3 წამით გააუმჯობესა თავისივე ევროპული რეკორდი 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ამ 13 წლის ნიჭიერმა გოგონამ ჰოლანდიის ჩემპიონატში ზემოაღნიშნული მანძილი 9 წუთსა და 15.4 წამში დაფარა.

ძველმა მიღწევამ სამ თვეზე ნაკლები გაძლო.

**რომი, 30 ივნისი.** იტალიის ჩემპიონატში მოასპარეზე ნოველა კალიგარისმა ევროპის რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 9.13,4. წინადღით უტრეხტში ჰანსიო ბეინსხოტენის მიერ დამყარებული რეკორდი 2 წამითაა გაუმჯობესებული.

## საიუბილეო ემბლემა მწვერვალზე

მწვერვალ ჩუმკუზბისკენ მიიწევდნენ ახალგაზრდა, კუნთმაგარი, მზით გარუჯული მთამსვლელები. გზაში მათ ამ მიდამოებში მცხოვრები გამოცდილი მონადირე ტ. ასლანიანი შემოუერთდა.

სოხუმის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები დ. კვაჭაძე, გ. ხაჯალია და გ. ნაროუშვილი სიძნელეებს არ შეუშინდნენ და რამდენიმე ხნის შემდეგ მწვერვალზე ავიდნენ. მათ მხატვარ ჰ. მარტიროსიანის მიერ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამახსოვრო ემბლემა დატოვეს მწვერვალზე სათანადო წერილით.

ნ. მიქაშავიძე,
ლაშქრობის მონაწილე.
სოხუმი.

# უიმბლდონის კორტებზე

**ლონდონი, 30 ივნისი.** სსრ კავშირის ჩემპიონის — თბილისელი ა. მეტრეველის კვალდაკვალ მისმა თანამემამულემ თ. კაკულიამაც გაიკაფა გზა მესამე წრეში. მანამდე მან დაამარცხა ინგლისელი დ. ლოიდი — 9:8, 4:6, 6:3, 6:4. კაკულიას მესამე წრეში ბედმა უმტყუნა — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთან ი. გრჟებეცთან შეხვედრა წააგო — 6:4, 3:6, 6:8, 1:6.

კვლავ კარგად იასპარეზა მეტრეველმა, რომელმაც მესამე წრეში დაამარცხა ინგლისელი ჯ. პეიში — 7:5, 6:3, 3:6, 6:4 (ეს ის პეიშია, რომელმაც უიმბლდონის ტურნირამდე ლონდონის ჩემპიონატში, „კუინს კლაბის" კორტებზე სძლია ს. სმითს (2:6, 6:3, 10:8), რომელიც უიმბლდონის ტურნირის კლასიფიკაციის მიხედვით პირველია).

მოსკოველმა ო. მოროზოვამ მეორე წრის შეხვედრა მოუგო ფ. ბონისელის (ურუგვაი) — 7:5, 7:5. გაიმარჯვა ბაქოელმა ე. ბირიუკოვამაც. მან სძლია რ. გუსმანს (ეკვადორი) — 6:4, 6:1. ასევე მოიგო ალმაათელმა მ. კრომინამ, რომელმაც მოუგო მ. შელოუს (აშშ) — 6:4, 2:6, 6:1.

შერეულ წყვილთა თანრიგში წარუმატებლად გამოვიდნენ მოროზოვა და მეტრეველი. მათ წააგეს შეხვედრა ავსტრალიელებთან კ. კრანტცკეთან და ს. დიბლისთან — 4:6, 6:3, 3:6.

სამაგიეროდ, იღბლიანად წარიმართა ვაჟთა წყვილების თანრიგში მეტრეველისა და ბაქოელი ს. ლიხაჩოვის გამოსვლა. მათ სძლიეს ინტერნაციონალურ დუეტს — ფლეტჩერსა (ავსტრალია) და მანდარინოს (ბრაზილია).

* * *

მეორე წრეში ბირიუკოვამ წააგო ავსტრალიელ ბ. ჰაუკროფტთან — 3:6, 6:2, 4:6.

## შვიდი სახეობის ჯამში

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის II საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც სამედიცინო სასწავლებლები მონაწილეობდნენ.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის პროგრამაში შვიდი სახეობა იყო.

წარმატებით იასპარეზა № 1 სამედიცინო სასწავლებლის კოლექტივმა, რომელმაც სამი I, ორი II და ერთი III ადგილი დაიკავა და საერთო გუნდური პირველობაც გაინაღდა.

II ადგილზე გავიდა ქიმიურ-ფარმაცევტული სასწავლებელი, III — № 3 სამედიცინო სასწავლებელი.

გ. ჯიქია.

# ტანმოვარჯიშეთა ბოლო რეპეტიცია

**მოსკოვი, 29 ივნისი.** დღეს აქ, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, საბჭოთა ქვეყნის უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა ასპარეზობა დაიწყეს სსრ კავშირის თასისა და მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის. შეჯიბრება 4 ივლისს დამთავრდება. ასე რომ, იგი ბოლო რეპეტიციაა მიუნხენის ტურნირის წინ.

ლუჟნიკში სარბიელზე გამოდიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალები. მათ შორის არ არიან მხოლოდ ნ. დრონოვა და რ. სიხარულიძე, რომლებიც დაშავდნენ და შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს. მოასპარეზეთა შორის ვხედავთ მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, გროდნოელ ლ. ტურიშჩევას, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, ვიტებსკელ თ. ლაზაკოვიჩს, ქვეყნის ორგზის აბსოლუტურ ჩემპიონს ლ. ბურდასა და ო. კორბუტს (ორივე — გროდნო), მოსკოველ ო. კარასიოვას, ტაშკენტელ ე. საადის, რიგელ ტ. შჩეგოლკოვასა და სხვებს.

თასისთვის და ოქროს მედლებისთვის იბრძოლებს საბჭოთა კავშირის ყველა მოწინავე ტანმოვარჯიშე ვაჟიც. მათ მეთაურობენ ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ვ. კლიმენკო და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ვლადიმერელი ნ. ანდრიანოვი. ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისთვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მოსკოველები მ. ვორონინი და ვ. შჩუკინი, ერევნელი ე. მიქაელიანი, მოსკოველი ნ. დიომიდოვი...

სავალდებულო პროგრამით ასპარეზობის შემდეგ ქალთა შორის ლიდერობს ტურიშჩევა — 37,8 ქულა. მას 0,1 ქულით ჩამორჩება ლაზაკოვიჩი. III ადგილზეა საადი — 37,65 ქულა. სხვათა შორის, ტაშკენტელმა ტანმოვარჯიშემ დღის საუკეთესო შეფასება დაიმსახურა — 9,7 ქულა თავისუფალ ვარჯიშში.

ვაჟთა შეჯიბრებაში ლიდერთა სამეულს სათავეში უდგას ანდრიანოვი — 56,65 ქულა. II ადგილზეა კლიმენკო — 56,25, III — ვორონინი — 56,20.

## „600-ანთა კლუბის" კანდიდატი

კემეროვოში მოეწყო კუზბასისა და ციმბირის ქალაქების ძალოსანთა ტურნირი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ტრუდის" წარმომადგენლებმა.

პირად ჩათვლაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სწრაფად მზარდი ზემძიმე წონის ნოვოსიბირსკელი არმიელი სპორტსმენი ე. შმიდტი. ამ ძალოსანმა 200 კგ აწია, 167,5 კგ აიტაცა და 217,5 კგ აკრა. ამით მან სამჭიდში 585 კგ დააგროვა, რაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება.

# პრიზების ახალი მისამართები

მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება — ძმები ზნამენსკების მემორიალი. ერთ-ერთი მთავარი პრიზის მფლობელი 10000 მეტრზე რბენაში გამოვლინდა. ჯილდო ამ შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთმა იუგოსლაველმა სპორტსმენმა დ. კორიცამ დაისაკუთრა — 29.00,6. II ადგილზეა ი. კრებსი (გდრ) — 29.01,2, III — ტომსკელი ვ. არჟანიკოვი — 29.03,8.

დანარჩენი ორი პრიზი სსრ კავშირში დარჩა — ორივე ლენინგრადელმა მძლეოსნებმა დაისაკუთრეს: რ. შარაფეტდინოვმა მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 14.07,8, ო. რაიკომ კი 1500 მეტრზე ასპარეზობა — 3.41,5.

ტურნირები მოეწყო ოლიმპიური პროგრამის კიდევ 30 სახეობაში. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის იმარჯვა ნ. ბესფამილნაიამ — 11,6, ვაჟთა შორის კი ა. კორნელიუკმა — 10,4.

200 მეტრზე ასპარეზობაში ქალთა შორის საუკეთესო იყო პ. ფოგტი (გდრ) — 23,6. მასპინძელი ნ. ჩისტიაკოვა მას 0,5 წამით ჩამორჩა.

შუბის მტყორცნელ ქალთა წინასწარ ტურნირში, რომელიც სათადარიგო მინდორზე ჩატარდა, დაწინაურდა ხარკოველი ნ. მარაკინა — 61,04. მაგრამ ფინალში (ცენტრალურ მინდორზე) შედეგებმა საგრძნობლად იკლო. პირველი ადგილი ვ. კომისარმა დაისაკუთრა — 57,42 მ.

სიმაღლეზე ხტომა მოიგეს მ. მრაჩნოვამ (ჩეხოსლოვაკია) — 179 სმ და ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა — 221.

სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგით (794) გაიმარჯვა ლ. ბარკოვსკიმ. სსრ კავშირის რეკორდსმენმა ა. ბარიშნიკოვმა ბირთვი 19,90 მეტრზე ჰკრა. ქალთა შორის ეს სახეობა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა, მოსკოველმა ა. ივანოვამ მოიგო — 18,70. მსოფლიო რეკორდსმენმა, ერევნელმა ფ. მელნიკმა ბადრო 63,52 მეტრზე ტყორცნა. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონის, მინსკელი რ. კლიმის ურომ 71,88 მეტრზე იფრინა. ვილნიუსელმა ქალმა ნ. საბაიტემ 800 მ 2 წუთსა და 3,4 წამში გაირბინა, რაც სსრ კავშირის რეკორდზე მხოლოდ 0,2 წამით უარესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩი რომ დამთავრდა...





გაფრინდაშვილ — კუშნირის მატჩი რომ დამთავრდა, რიგის საზოგადოებრიობა ტრადიციისამებრ შეიკრიბა, რათა ჭადრაკის დედოფლის ტახტზე ეკურთხებინა ნონა გაფრინდაშვილი. ამ დღეს ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში" ჩვეულებრივზე მეტმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ირგვლივ ყველას და ყველაფერს საზეიმო ელფერი ჰქონდა.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა. ყველა წრფელად ამბობდა გულისნადებს.

როცა ნონას ჭადრაკის დედოფლის გვირგვინით ამკობდნენ, მქუხარე ტაშმა იგრიალა. ფოტორეპორტიორებმა, ტელე- და კინოოპერატორებმა ერთმანეთის დასწრებაში ისეთი „წარმოდგენა" გამართეს, რომ ამ ზარ-ზეიმის მიზეზს ძალაუნებურად გაეცინა.

საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა ფიდე-ს სახელით გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონად რომ გამოაცხადა, ნონას შევხედე, იგი ამაყი, ძლიერი ჩანდა, თვალები ბედნიერებას აევსო, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— მძიმე იყო გვირგვინი? — ჰკითხა ვიღაცამ ნონას. პასუხად ჭადრაკის დედოფალს მხოლოდ გაეღიმა. ჩვენ მივხვდით, რომ გვირგვინი მძიმე, ოღონდ სასიამოვნო ტვირთი იყო.

— უსამართლობაა, რომ კუშნირს ვერცხლის მედალი არ მისცეს: ფიდე სტყუის, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები რომ არა აქვს. ანდა რატომ არ არის კუშნირი სპორტის დამსახურებული ოსტატი, მან ეს წოდება დიდი ხანია დაიმსახურა, — უთხრა ნონამ ივონინს ლატვიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამართულ დარბაზობაზე.

მესიამოვნა, რომ ნონა ასე გამოესარჩლა თავის ღირსეულ მეტოქეს.

— ნონა და მე მოწინააღმდეგენი არასოდეს ვყოფილვართ, მუდამ მეტოქენი ვიყავით და ვიქნებით, — თქვა კუშნირმა.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. მთელი მატჩის მანძილზე მოცილენი ერთმანეთს მოკრძალებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათი საუბარი პარტიის შემდეგ მუდამ თავაზიანი და გულწრფელი იყო. ამ ურთიერთობის ერთი დასტური ისიც გახლდათ, რომ ორივემ მატჩის ბოლოს მეგობრებთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღო.

მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მაგრამ, ვიდრე მემატიანეები გაიხსენებენ, იგი კარგა ხანს ჭადრაკის მოყვარულებისა და სპეციალისტთა საუბრების თემა იქნება. სალაპარაკო ბევრი გვაქვს.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რიგა.

* * *

სურათებზე: ნ. გაფრინდაშვილს ჩემპიონის წოდების შენარჩუნებას ულოცავს კოლმეურნეობა „ლაჩპლესესის" თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. კაულინში; ნონა და ალა მატჩის შემდეგ.

მ. ზარგარიანის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

დღეს მოსკოვიდან თბილისს მატარებლით ბრუნდება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

ხუტა ბერულავა

## ნონა გაფრინდაშვილს

რა ბრძოლა იყო, მკაცრი და მძიმე!
ბედი კი არა, გონება გწყალობს!
არა ვკარგავდით წამითაც იმედს
და გაიმარჯვე, ქართველო ქალო.

შეინარჩუნე დედოფლის ტახტი, —
ვერავინ შეძლო დაპყრობა მისი,
და ისევ გახდი, მეოთხედ გახდი,
დაფნის გვირგვინით შემკობის ღირსი.

ავადმყოფობაც გიტევდა ძალუმ,
მაგრამ ვერ სძლია სიმტკიცე შენი,
ბრუნდები შინ და საყვარელ მამულს
დღესასწაულის იერი შვენის.

რა ბრძოლა იყო, მკაცრი და ძნელი!
ბედი კი არა, მხნეობა გწყალობს!
თბილისი გელის, ზუგდიდიც გელის,
გამარჯვებულო ქართველო ქალო!

## „ლელოს" წერილების კვალდაკვალ

SOS!

„ლელოს" 6 ივნისის ნომერში ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში სპორტული ბაზები არ გააჩნიათ

როგორც ჩხოროწყუს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ყურაშვილი და „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ბ. პაპასქირი გვწერენ, ამ საკითხზე „ლელოში" დაბეჭდილი მასალა სინამდვილეს შეეფერება. კოლმეურნეობის გამგეობამ უკვე განაახლა სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელიც წლეულს სექტემბრისთვის დამთავრდება.

## მხოლოდ ტელეგრაფის ენით...

ჟიტომირი. 27-29 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში.

ვაჟები. დისტანცია 1000 მ.

ერთადგილიანი ბაიდარა. 1. ა. შაპორენკო (სუმი) — 4.03,2, 2. ვ. ცარიოვი (იაროსლავლი) — 4.06,2, 3. ა. შარიკინი (როვნო) — 4.07,6.

ერთადგილიანი კანოე. 1. ვ. იურჩენკო (დნეპროპეტროვსკი) — 4.29,4, 2. ვ. ბელოუსოვი (ვლადივოსტოკი) — 4.32,8, 3. რ. ნაგირნი (ლვოვი) — 4.34,8.

ორადგილიანი ბაიდარა. 1. ვ. კრატასიუკი (ფოთი) — ნ. გორბაჩოვი (როგაჩოვი) — 3.57,0, 2. ა. შარიკინი — ლ. დერევიანკო (მინსკი) — 3.57,2, 3. ფ. სალიახოვი — ა. ზახაროვი (ორივე — ყაზანი) — 3.58,6.

ორადგილიანი კანოე. 1. ვ. ჩესიუნასი (ვილნიუსი) — ი. ლობანოვი (დუშანბე) — 3.58,0, 2. ნ. პროკუპეცი (მოსკოვი) — ნ. ფედულოვი (კალინინი) — 4.04,8, 3. ა. ჩაზოვი (მოსკოვი) — ო. კალიდოვი (ვოლგოგრადი) — 4.06,2.

ოთხადგილიანი ბაიდარა. 1. სსრ კავშირი I (ი. ფილატოვი, ი. სტეცენკო, ვ. მოროზოვი (ყველა — კიევი), ვ. დიდენკო (მოსკოვი) — 3.23,4, 2. სსრ კავშირი II (ვ. ატამანჩუკი (ვოლგოგრადი); პ. გრეშტა, მ. შურგა (ორივე — ლვოვი), ლ. დერევიანკო) — 3.24,6, 3. ლენინგრადის „დინამო" (ვ. ზუიკოვი, ი. ზუევი, გ. ვასილიევი, ვ. ნიკოლაევი) — 3.24,7.

ქალები. დისტანცია 500 მ.

ერთადგილიანი ბაიდარა. 1. ლ. პინაევა (ლენინგრადი) — 2.10,8, 2. ი. რიაბჩინსკაია (ოდესა) — 2.10,9, 3. ე. კურიშკო (ხარკოვი) — 2.12,4.

ორადგილიანი ბაიდარა. 1. ლ. პინაევა — ე. კურიშკო — 2.01,0, 2. ლ. კაბაკოვა — თ. პოპოვა (ორივე — მინსკი) — 2.02,6, 3. ი. რიაბჩინსკაია — გ. ოსმინინა (მოსკოვი) — 2.05,2.

* * *

XX ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროში სსრ კავშირის ნაკრების პირველი და მეორე შემადგენლობანი იასპარეზებენ რუმინეთში, უნგრეთში, შვეციასა და დანიაში.

СССР 50

# სამღერალი არ ეთქმით

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა, რომელშიც პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების ნაკრები გუნდები და სპორტკლუბების კოლექტივები მონაწილეობდნენ.

სპარტაკიადის პროგრამის ბოლო სამი სახეობა ტყვიის სროლა, ცურვა და მაგიდის ჩოგბურთი იყო.

ტყვიის სროლაში, რომელსაც კიროვის სახელობის ქარხნის სასროლეთი მასპინძლობდა, გუნდური გამარჯვება მანქანათმშენებლობის მუშაკთა კავშირის კოლექტივმა დაისაკუთრა. II ადგილზეა სპორტკლუბი „განთიადი", III — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ნაკრები.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ორივე ვარჯიში ვ. აკოფოვმა (მანქანათმშენებლობის კავშირი) მოიგო წოლელა 60 გასროლით მან 582 ქულა მოაგროვა, სტანდარტზე (3×20) სროლაში კი 544 ქულა მიიღო.

ასევე სპარტაკიადის ორგზის ლაურეატია აკოფოვის თანაგუნდელი რ. ჩიკვილაძე: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე (264 ქულა), აგრეთვე, ამავე იარაღით სილუეტებსა და შავ სამიზნეებზე სროლაში (557).

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში 10 გუნდის 50 სპორტსმენი ჩაება. კოლექტივები თავდაპირველად ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში ყველას საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირის, აგრეთვე, ელსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის კავშირის გუნდებმა აჯობეს. ფინალური მატჩი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა კავშირის მაგიდის ჩოგბურთელებმა მოიგეს (3:1) და ჩემპიონობა დაისაკუთრეს. III ადგილისთვის ბრძოლაში სპორტკლუბმა „განთიადმა" წააგო მანქანათმშენებლობის კავშირის სპორტსმენებთან — 2:3.

ყველაზე ხალხმრავალი გამოდგა მოცურავეთა შეჯიბრება, რომელშიც 11 გუნდის 83 სპორტსმენი ჩაება. კავშირების კოლექტივების შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მანქანათმშენებლობის კავშირი, სპორტკლუბი „უშბა", მეტალურგები, სპორტკლუბებს შორის — „გამარჯვება", „განთიადი", „კოლხიდა".

პირად პირველობაში გამარჯვებულებს ვერ დავემდურებით: მეორე თანრიგის ნორმატივზე ნაკლები შედეგი არავის უჩვენებია, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულმა ა. ბავინმა (მანქანათმშენებელი) კი სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 2.04,2. მისმა თანაგუნდელმა ლ. სუინამ ამავე სტილით ამავე დისტანციაზე სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივით გაიმარჯვა — 2.27,6. ექვსი ჩემპიონი I თანრიგის ნორმატივს შესწვდა.

გაგაცნობთ სხვა ჩემპიონებს: ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ. სუინა — 1.07,4, 400 მ. ვ. პროსკურინა (მშენებლობის კავშირი) — 5.34,0. ბრასი. 100 მ. მ. გამზინა („უშბა") — 1,25,8, 200 მ. ლ. სელივანოვა (ელექტრომრეწველობა) — 3.06,2. ბატერფლაი. 100 მ. ლ. ჩერქეზიშვილი („უშბა") — 1.27,9, 200 მ. პროსკურინა — 2.59,2, გულაღმა. 100 მ. ნ. გაჩეჩილაძე — 1.18,8, 200 მ. ტ. ვეტერი (ორივე — მეტალურგი) — 2.46,2. კომპლექსური. 200 მ. ლ. იმნაძე (მანქანათმშენებელი) — 2.56,2, 400 მ. გამზინა — 6.16,9. ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ბავინი — 59,5, 400 მ. ბ. გრიგორიევი (მეტალურგი) — 5.00,5. ბრასი. 100 მ. ვ. სიროტი (მანქანათმშენებელი) — 1.16,5, 200 მ. ა. ფეოქტისტოვი („უშბა") — 2.43,4. ბატერფლაი. 100 მ. ი. კალანდაძე (ნავთობისა და ქიმიის მრეწველობა) — 1.14,0, 200 მ. ვ. გოგოლევი („უშბა") — 2.42,3. გულაღმა. 100 და 200 მ. ა. ვეჩხაიზერი (მანქანათმშენებელი) — 1.09,5 და 2.28,2. 200 და 400 მ კომპლექსური ცურვა. დ. გრეგორი („უშბა") — 2.30,7 და 5.23,2.

სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვა მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრებმა, რომელმაც 147,5 ქულა მოაგროვა. მას 4 ქულით ჩამორჩნენ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის სპორტსმენები. 122,5 ქულით III ადგილზეა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ნაკრები.

სპარტაკიადისთვის ყველაზე სუსტად მომზადებული აღმოჩნდნენ ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის გუნდები, რომლებმაც კომპლექსურ ჩათვლაში 33,5 ქულა ძლივს მოაგროვეს და X ადგილს დასჯერდნენ.

ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში გაიმარჯვა სპორტკლუბმა „ფოლადმა" — 89 ქულა. II ადგილზეა „განთიადი" — 80, III — „გამარჯვება" — 76. მეორე ჯგუფში 75 ქულით უძლიერესი აღმოჩნდა სპორტკლუბი „უშბა". II ადგილზეა სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი — 55,5.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „განთიადის" სისტემის ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტკლუბები, რომლებმაც ამ ასპარეზობაში გუნდური ტურნირები მოიგეს, პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზად არიან.

რ. მაღრაძე.

— 72

● რიგა, 28 ივნისი. რიგის ყურეში გამართული ბალტიის 24-ე საერთაშორისო რეგატა საბჭოთა აფროსნების წარმატებით აღინიშნა. ი, გამარჯვებულებიც: „ტემპესტის" კლასში — კიეველი ვ. მანკინი, „ვარსკვლავის" კლასში — მოსკოველი ბ. ბუდნიკოვი, „მფრინავ ჰოლანდიელში" — ასევე მოსკოველი ვ. ლეონტიევი, „ფინის" კლასში — რიგელი რ. ბერდაში, კატამარანებში — გორკელი ი. ჩაბანი. ორი გამარჯვება იზეიმეს გდრ-ის წარმომადგენლებმა. ესენი არიან დ. ბელოვი („ურისული") და რ. შვარცი („სოლინგი"). რეგატაში ექვსი ქვეყნის აფროსნები მონაწილეობდნენ.

● ვარშავა, 28 ივნისი. ი. კუსოჩინსკის მემორიალის პირველ დღეს პოლონეთის ორი რეკორდი დამყარდა: კ. მარანდამ 3000 მ წინაღობებით 8 წუთსა და 23,6 წამში გაირბინა (ეს შედეგი სულ 1,6 წამით ჩამოუვარდება ავსტრალიელი კ. ო'ბრაიენის მსოფლიო რეკორდს. კარგ შედეგებს მიაღწიეს II და III ადგილებზე გასულმა პოლონელმა მორბენლებმაც — ტ. ზელინსკიმ — 8.26,6 და ი. რებაჩმა — 8.28,8), ხოლო 25 წლის ლ. ხევინსკამ 19,06 მეტრზე ჰკრა ბირთვი. იგი ევროპაში მეხუთე ქალია, ვინც წლევანდელ სეზონში 19-მეტრიან ზღვარს გადააცილა. პოლონელმა ე. გრიშეცკამ 62,68 მეტრზე ტყორცნა შუბი. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს: კუბელმა ე. რამირესმა (100 მ — 10,1), ფრანგმა ს. ტილიეზმა (100 მ — 11,4), ბულგარელმა ს. ზლატევამ (800 მ — 2.02,6), რუმინელმა კ. კორბუმ (სამხტომი — 16,79 მ).

● სტოკჰოლმი, 28 ივნისი. შვეციისა და ნორვეგიის მძლეოსანთა მატჩში (გაიმარჯვეს შვედებმა — 117:95) ა. გერდერუდმა 800 მეტრზე წინაღობებით რბენაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი გაიმეორა — 8.28,6 (შვეციის რეკორდი). რ. ბრუხმა (შვეცია) 65,18 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მოკრძალებული გამარჯვება

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 28 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი, რეხვიაშვილი, ყიფიანი, ლ. ნოდია.

„ზენიტი“: პრონინი, დემ ემოვი, ლოხოვი, ბულავინი, ზაგუმენიხი, სადირინი, კოხი, ივუნი (ბურჩალკინი), ტრემბაჩი (გონჩაროვი), ზინჩენკო, ფოკინი.

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები — 1:1.

სიმართლე რომ ითქვას, გულშემატკივრები თბილისის „დინამოსგან“ მატჩის მოგებას უფრო დიდი, დამაჯერებელი ანგარიშით ელოდნენ, თუნდაც იმ ვითარებაში, რომელიც ამ შეხვედრისთვის შეიქმნა (თბილისელებს აკლდათ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე). მაგრამ ასეთ შემთხვევებში მუდამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რა მდგომარეობაშია მოწინააღმდეგე. „ზენიტი“ კი ამ მატჩისთვის ერთობ მძიმე მდგომარეობაში გახლდათ.

იმ საუკეთესო მაჩვენებლებიდან, რომლებიც ლენინგრადელებს ჰქონდათ ჩემპიონატის სტარტზე, ნასახიც არ დარჩა. „ზენიტმა“ ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ 2 ქულის აღება შეძლო, გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის პოსტიდან XIII ადგილამდე ჩამოინაცვლა და ახლა, ფაქტიურად, სახიფათო ზონაშია. რასაკვირველია, ზენიტელები თავგამოდებით იბრძოლებდნენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ვინაიდან ერთ ქულასაც კი შეუძლია მათი რამდენიმე საფეხურით წინ წაწევა.

ამ მიზნის შესასრულებლად სტუმრებმა გააძლიერეს დაცვა, სადაც 7-8 მუდმივმოქმედ მოთამაშეს მოუყარეს თავი. ამ ხაზის დაძლევა დინამოელებს ძალიან გაუჭირდათ, ამასთან, პირველი ტაიმი მათ თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ჩაატარეს. თავდასხმა აგრესიულობას არ იჩენდა, ხშირად კარგავდა ბურთს, ნახევარმცველები აგვიანებდნენ გადაცემებს, თუმცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მაინც იყო.

გუნდმა თამაშის გამოსწორება შეძლო შესვენების შემდეგ. მაჩაიძემ ნახევარდაცვიდან გადაინაცვლა წინ, თავდასხმაში; სრული ძალით ათამაშდა ყიფიანი, რომლის წინააღმდეგაც შეტევის მარჯვენა ფლანგზე ვერაფერი გააწყვეს „ზენიტის“ მცველებმა. ყიფიანი სისტემატურად აწვდიდა ბურთებს მეტოქის კართან და მის პარტნიორებს მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, გამარჯვებაც ასე არ გაჭირდებოდა.

მატჩის ბედი გადაწყდა 56-ე წუთზე. ძოძუაშვილმა მინდვრის სიღრმიდან წამოიწყო რეიდი, გადასცა ბურთი მჭედლიშვილს და ამ უკანასკნელმა მაშინვე, დროის დაუკარგავად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა რომელიღაც მცველს, შეიცვალა მიმართულება და გავიდა კარში — 1:0.

ეს ანგარიში თბილისელებმა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს.

**რ. ქორიძე.**

### კავშირი, ჩოლოკი (?)

28 ივნისს შედგა მორიგი ტურის მატჩები.

„არარატი“ — ცსკა 2:0.

ერევნელმა ფეხბურთელებმა ერთობ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ცსკა-სთან, რომელიც ახლა კარგ სპორტულ ფორმაშია. ანგარიში გახსნა პოლოსოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ პეტროსიანმა მეორედ აიღო მოსკოველთა კარი.

„ქაირათი“ — „სპარტაკი“ 1:0.

მთელი მატჩის მსვლელობაში ორივე გუნდმა სულ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. 74-ე წუთზე ერთი ასეთი მომენტი კარგად გამოიყენა „ქაირათის“ დებიუტანტმა ატანტაევმა. აღსანიშნავია, რომ ეს „ქაირათის“ პირველი გამარჯვებაა თავის მინდორზე მიმდინარე ჩემპიონატში. სპარტაკელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ (კიევი) 1:4.

შეიძლება ითქვას, კიევის დინამოელებმა წლეულს პირველად ითამაშეს თავიანთი სრული შესაძლებლობით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნახევარმცველი მუნტიანი, რომელმაც „ჰეტ-ტრიკი“ შეასრულა — 3 გოლი გაიტანა, ხოლო მეოთხე ბურთი მისი გადაცემით ბაქოელთა კარში კოლოტოვმა მოათავსა. „ნეფთჩიმ“ მთელი მატჩი დაცვაში გაატარა და შეძლო მხოლოდ ის, რომ თავი დააღწია „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას (ბანიშევსკი).

ასკ — „კარპატი“ 3:1.

როსტოველებმა მორიგი 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში და მკვეთრად გააუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. ისინი მატჩს იგებდნენ ანგარიშით 3:0. პირველი ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა ბონდარენკომ, წუთის შემდეგ პლეშაკოვმა მეორედ აიღო „კარპატის“ კარი, კიდევ 2 წუთის შემდეგ კი ესკოვმა ზუსტად გამოიყენა პენალტი, რომელიც მისივე მოცელვისთვის დაინიშნა სტუმართა კარში. ახე, არმიელებმა 4 წუთის განმავლობაში სამჯერ შეძლეს ლვოველთა კარის აღება. ერთადერთი საპასუხო გოლი 81-ე წუთზე გაიტანა ბროვარსკიმ.

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:3.

ანგარიში გაიხსნა 32-ე წუთზე, როცა რკინიგზელთა კარში მსაჯმა დანიშნა პენალტი. იგი კარგად გამოიყენა ევრიუჟიხინმა. შემდეგ მეორე ბურთი გაიტანა ეშტრეკოვმა და მესამე — კოჟემიაკინმა. რკინიგზელთაგან გოლი გაიტანა დიმიტრიადიმ.

### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 13 | 9 | 2 | 2 | 23—10 | 20 |
| „დინ.“ (თბ.) | 12 | 7 | 3 | 2 | 14—5 | 17 |
| ცსკა | 12 | 6 | 2 | 4 | 13—11 | 14 |
| „ტორპედო“ | 13 | 5 | 4 | 4 | 11—14 | 14 |
| „დინ.“ (კ.) | 11 | 5 | 3 | 3 | 17—13 | 13 |
| „არარატი“ | 12 | 4 | 4 | 4 | 17—10 | 12 |
| „დნეპრი“ | 12 | 3 | 6 | 3 | 11—16 | 12 |
| „სპარტაკი“ | 11 | 4 | 3 | 4 | 10—10 | 11 |
| „დინ.“ (მნ.) | 12 | 3 | 5 | 4 | 9—11 | 11 |
| „ქაირათი“ | 13 | 2 | 7 | 4 | 9—11 | 11 |
| ასკ | 13 | 4 | 3 | 6 | 15—13 | 11 |
| „დინ.“ (მ.) | 10 | 4 | 2 | 4 | 12—12 | 10 |
| „ზენიტი“ | 12 | 3 | 4 | 5 | 14—16 | 10 |
| „ნეფთჩი“ | 11 | 3 | 3 | 5 | 9—13 | 9 |
| „კარპატი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 10—17 | 9 |
| „ლოკომოტ.“ | 12 | 2 | 4 | 6 | 8—15 | 8 |

### I ლიგა

## მინიმალური ანგარიშით

29 ივნისს კიშინიოვში გაიმართა გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ნისტრუსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის.

გაიმარჯვა „ჩერნომორეცმა“ — 1:0.

### II ლიგა III ზონა

## ნაგება გადამწყვეტ მომენტში

29 ივნისს ბათუმის სტადიონზე გაიმართა II ლიგის III ზონის გუნდების მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა: ადგილობრივი დინამოელები კრასნოდარის „ყუბანს“ მასპინძლობდნენ.

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ამ დღისთვის ასეთი იყო: „ყუბანი“ II ადგილზე გახლდათ 18 ქულით, „დინამო“ კი მეექვსეზე და ერთი შეხვედრა ჰქონდა მარაგში. თუ სტუმრებს დაამარცხებდნენ, დინამოელებს, ფაქტიურად, მასთან გათანაბრების საშუალება ეძლეოდათ და, საერთოდ, ლიდერთა შორის დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

ამ დღეს ბათუმში კოკისპირულად წვიმდა და სათამაშო მინდორიც ერთიანად ატალახდა. მიუხედავად ამისა, თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში, მასპინძელთა ხშირი იერიშებით. უკვე პირველივე წუთებზე დაკარგა კარგი შესაძლებლობა რამიშვილმა, შემდეგ ქორიძემ შორიდან დაარტყა და „ყუბანის“ მეკარე გუშჩინმა ძნელი ბურთი აიღო.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ფეხბურთში, შემტევმა მხარემ ვერაფერს მიაღწია, ხოლო საპასუხო კონტრიერიში გოლით დამთავრდა: მე-19 წუთზე კაზაკოვმა შეძლო წივწივაძესთან ორთაბრძოლის მოგება და ძლიერად დაარტყა კარში. ბათუმელთა მეკარე პავლოვმა მოიგერია ბურთი, მას მიუსწრო პოლსიკოვმა და ზუსტად გაგზავნა კარში — 1:0.

დინამოელებმა მარცხს გაძლიერებული იერიშებით უპასუხეს, მაგრამ 10 წუთის შემდეგ სიტუაცია გამეორდა და პოლსიკოვმა მეორე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

როგორც კი განახლდა თამაში შესვენების შემდეგ წივწივაძემ გაქვითა ერთი ბურთი. ამის შემდეგ მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, „ყუბანის“ კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ თავდამსხმელთა ნაჩქარევი, უზუსტო დარტყმების გამო ბურთის გატანა არ მოხერხდა, ამასთან, საუკეთესოდ თამაშობდნენ გუშჩინი და კრასნოდარელთა მთელი დაცვა.

„ყუბანმა“ შეძლო მისთვის უაღრესად საჭირო გამარჯვების მოპოვება — 2:1.

**ო. მურვანიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ბათუმი.

## 6 გოლი!

ფოთის „კოლხეთისა“ და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა: მაყურებლები თვალს არ აცილებდნენ მინდორზე გაჩაღებულ მწვავე ბრძოლას.

თავდაპირველად უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, 28-ე წუთზე, ჯაიანის ძლიერი დარტყმა მოხვდა მცველს და ბურთი რიკოშეტით გავიდა კარში — 1.0.

კიდევ უფრო გაძლიერებული ტემპით, სწრაფად უტევდა „კოლხეთი“ დინამოელთა კარს შესვენების შემდეგ. როხვაძემ ორჯერ გაითამაშა კომბინაცია სანაიასთან და ამ უკანასკნელმა ორივეჯერ აიღო კარი — 3:0.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, სოხუმელებს არ დაუყრიათ ფარ-ხმალი და ხამალიანმა გაბისკირიას გადაცემით გაიტანა საპასუხო გოლი.

შემდეგ სტუმრების კარში დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულება სანაიას მიენდო — 4:1. დაბოლოს, სოხუმელმა დელბამ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა და ანგარიშით 4:2 ფოთელებმა გაიმარჯვეს.

„კოლხეთის“ რიგებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან სანაია, ფილია, როხვაძე, გუდავაძე და არზიანი.

**ზ. ბასილაია.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

## ვერ შეინარჩუნეს...

გორის „დილის“ შეხვედრა ტირასპოლის „ზვეზდასთან“ საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. იგი დაიწყო ორმხრივი იერიშებით, მაგრამ შემდგომში უპირატესობამ თანდათან „დილის“ მხარეს გადაინაცვლა და სტუმრებს გაძლიერებული შემადგენლობით დასჭირდათ დაცვითი ხაზების გამაგრება.

23-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა: პაპიაშვილმა შორიდან ზუსტად დაარტყა და „ზვეზდის“ მეკარე უძლური იყო რაიმე მოემოქმედა კარის სახსნელად.

მეორე ტაიმი პირველის სრულ საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთი მატჩის ორი სრულიად საპირისპირო მხარე. ტირასპოლელები აქტიურად, დიდი მონდომებით ჩაებნენ თამაშში და გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანეს მის მსვლელობაში, რაც საბოლოოდ დამთავრდა ავერიანოვის მიერ 85-ე წუთზე გატანილი საპასუხო ბურთით — 1:1.

**გ. გოზალიშვილი.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
გორი.

## 90 წუთი—0:0

რუსთავის „მეტალურგმა“ შინ მიიღო ბრიანსკის „დინამო“. მატჩს ერთობ არახელსაყრელი ამინდი — წვიმა და ქარი დაესწრო. ამიტომ შეხვედრა სანახაობრივად უინტერესო იყო.

დასაწყისში მეტალურგები ხშირად უტევდნენ, სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. მაგრამ გადამწყვეტ ვითარებაში იბნეოდნენ და იერიშებს ვერ ამთავრებდნენ. დინამოელები თავგამოდებით იბრძოდნენ ქულის ასაღებად და დროის განზრახ გაჭიანურებასაც არ ერიდებოდნენ. ამისთვის ერთ-ერთ მათგანს გაფრთხილებაც კი მიეცა.

საბოლოოდ მასპინძლებმა ვერ შეძლეს თავიანთი ტერიტორიული უპირატესობის გამოყენება და ფრეს დასჯერდნენ — 0:0.

**რ. გაბრიჩიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

* * *

29 ივნისს მახარაძეში გაიმართა საინტერესო მატჩი ზონის ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ადგილობრივი „მერცხლისა“ და ბელაია კალიტვას „კალიტვას“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

## პირველი შეხვედრა — 1:0

### „ინდეპენდენსიას თასზე“

ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში ნახევარფინალური მატჩები დაიწყო.

პირველად ითამაშეს მასპინძლებმა — ბრაზილიელებმა, რომელთა მეტოქე იყო ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. მიუხედავად საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობისა, მასპინძელთა ნაკრებმა ვერ შეძლო მეტოქის დაცვითი ზღუდეების გადალახვა და ფრეს დასჯერდა — 0:0. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეკარე ვიქტორის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც მატჩის მიწურულს ჟაირზინიოს ორი უძლიერესი დარტყმა მოიგერია.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები მასპინძლებს სისწრაფეში სჯობდნენ და მინდვრის ცენტრს ბრაზილიელებზე უკეთ ფლობდნენ.

წარმატებით დაიწყეს ტურნირი საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომელთა პირველი მეტოქე სან-პაულოს სტადიონზე ურუგვაის ნაკრები იყო. მატჩის ბედი გადაწყვიტა ურუგვაელთა კარში ონიშჩენკოს მიერ 59-ე წუთზე გატანილმა ბურთმა — 1:0.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ტკაჩენკო, ს. კუზნეცოვი, ჟურავლიოვი, მალიგინი, პინჩუკი, ვასენინი, ვ. კუზნეცოვი, კოპაი, სემიონოვი, ელისეევი, ონიშჩენკო.

ამავე დღეს სან-პაულოში პორტუგალიელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს არგენტინის ნაკრები.

შოტლანდიისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

2 ივლისს საბჭოთა ფეხბურთელები ბელუ-ორიზონტიში ატარებენ ტურნირის მორიგ მატჩს. მათი მეტოქე იქნება არგენტინის ნაკრები.

### ჩემპიონატები, თასები, ლიდერები (?)

## „ბაიერნი“ — პირველ ადგილზე

ბონი, 29 ივნისი. დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატი. 55 ქულით I ადგილი დაიკავა მიუნჰენის „ბაიერნმა“. II ადგილზე გავიდა გელზენკირჰენის „შალკე-04“ (52 ქულა). მესამე პრიზიორი გახდა დორტმუნდის „ბორუსია“, რომელმაც 43 ქულა დააგროვა.

## ასოციაცია განიხილავს

როგორც ცნობილია, ამას წინათ ინგლისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტურნე ჩაატარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში. ამ ტურნეში გასამგზავრებლად გაურკვეველი მიზეზების გამო არ გამოცხადდნენ ნაკრების წამყვანი მოთამაშეები კოლინ ტოდი და ალან ჰადსონი. ზემოაღნიშნული ორი ფეხბურთელის საკითხს ივლისის დამლევს განიხილავს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია.

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ვადები დადგენილია

ბუენოს-აირესი, 28 ივნისი. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების მატჩები ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტესა“ და ამსტერდამის „აიაქსს“ შორის გაიმართება 4 და 18 ოქტომბერს. პირველი შეხვედრა ჩატარდება არგენტინაში, მეორე — ჰოლანდიაში.

თუ ეს შეხვედრები გამარჯვებულს ვერ გამოავლენენ, დაინიშნება მესამე მატჩი, რომელიც ევროპაში შედგება.

# როგორ იქნება ფხაკაძის საქმე?

ამ დღეებში მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა ოლიმპიური თამაშებისთვის ტრეკზე ველომრბოლელთა ნაკრები გუნდის მზადების საკითხი. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ვარგაშკინმა დაწვრილებით ილაპარაკა გაწეულ მუშაობაზე, გუნდის ყველა წევრის დღევანდელ სპორტულ ფორმაზე, გააანალიზა „დიდ პრიზებზე" ტულისა და ლენინგრადის საერთაშორისო ასპარეზობათა შედეგები.

ოლიმპიური პროგრამის ხუთი სახეობიდან საბჭოთა გუნდს ყველაზე მყარი პოზიციები 1 კმ-ზე გიტში აქვს. 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ომსკელი ე. რაპი სტაბილურ შედეგებს აღწევს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ უცხოეთშიც. მართალია, ჯერჯერობით რაპს ღირსეული ცვლა არ ჰყავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლიმპიადის სარბიელზე 1 კმ-ზე გიტში ყველა ქვეყანას თითო სპორტსმენი გამოჰყავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა გუნდი ოლიმპიურ მედალს მოიპოვებს. ჯერჯერობით უცხოელი მეტოქეები რბოლის ამ სახეობაში შორს არიან საუკეთესო სპორტული ფორმისგან. წლევანდელ სეზონში მაღალი შედეგები არც მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, იტალიელ ჯ. სარტორის მოუპოვებია, არც ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს, ფრანგ პ. ტრანტენს, არც დანიელ ჰ. პედერსენს.

საბჭოთა ველოსიპედისტებს კარგი შანსი აქვთ 4 კმ-ზე გუნდურ რბოლაში გამარჯვებისაც. სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მოსკვინი, რომელიც დიდხანს მეთაურობდა საბჭოთა ოთხეულს, ახლა ნაკრების მწვრთნელია. მან ო. ბორისოვთან ერთად უკვე გამოჰყო ექვსი მრბოლელი, რომელთაგანაც საბოლოო ოლიმპიურ გუნდს შეარჩევენ (ოთხი ძირითადი და ერთი სათადარიგო წევრი). დღესდღეობით საუკეთესოთა ექვსეულში შედიან ა. ხრისტენკო, ა. სტეპანენკო, ა. იუდინი, ვ. კუზნეცოვი, ვ. ბიკოვი, ვ. ნაზარენკო. საინტერესოა, რომ ამ სპორტსმენთა შორის სამი შუა აზიის წარმომადგენელია, ორი — ბელორუსიისა, ერთი — მოლდავეთისა. დასანანია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტებს არც ერთხელ არ ჰყოლიათ თავიანთი დელეგატი საბჭოთა ნაკრებში გამოდევნებით რბოლაში. მიუნჰენში, ახალ 287-მეტრიან, გამჭვირვალე გუმბათით გადახურულ ტრეკზე (წვიმა ხელს ვერ შეუშლის სპორტსმენებს) მთავარი ბრძოლა ალბათ გფრ-ის, გდრ-ისა და სსრ კავშირის ოთხეულებს შორის გაჩაღდება. ამ სეზონში თითოეულ ამ გუნდს უმაღლესი საერთაშორისო კლასის შედეგები აქვს მოპოვებული.

სამწუხარო ტრადიცია გრძელდება 4 კმ-ზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. დღესდღეობით ნაკრების მწვრთნელებს თითქმის არ ეგულებათ სპორტსმენი, რომელსაც მიუნჰენის საგზურს ანდობენ. თუ სსრ კავშირის მომავალ ჩემპიონატში (ასპარეზობა ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში ჩატარდება 24-28 ივლისს) მონაწილეთაგან საკონტროლო ნორმატივს (4.53,0) ვერავინ შეასრულებს, მიუნჰენში საბჭოთა ველოსიპედისტები ამ სახეობაში არ გამოვლენ. ფედერაციის პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში სპორტსმენთა მომზადების მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ საქმის გამოსწორება ოლიმპიადის დაწყებამდე პრაქტიკულად უკვე შეუძლებელია.

რ. ვარგაშკინი დიდ იმედს ამყარებს უკრაინელ მრბოლელთა ტანდემზე: ვ. სემენეცი — ი. ცელოვალნიკოვი. ეს წყვილი წარმატებით გამოდის წლევანდელ სეზონში. მართალია, დანიაში საერთაშორისო შეჯიბრებაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე სემენეციცა და ცელოვალნიკოვიც სერიოზულად დაშავდნენ, როცა ფინიშზე წინა ბორბლის საბურავი გასკდა. მაგრამ სპორტსმენებმა მალე განაახლეს წვრთნა და დანიაში წარმატებაც კი მოიპოვეს. აქ სარეზერვო მრბოლელად შეიძლება სწრაფად მზარდი ტულელი ვ. კოპილოვი ჩაირიცხოს. საბჭოთა ველოსიპედისტების ყველაზე საშიში მეტოქეები გდრ-ის, გფრ-ისა და საფრანგეთის მრბოლელები არიან. მართალია, ოლიმპიური ჩემპიონები დ. მორელონი და პ. ტრანტენი წლეულს ჯერ კიდევ არ გამოსულან ერთად ტანდემზე, ვინაიდან ტრანტენი მომზადების დონით ბევრად ჩამორჩება მორელონს. მიუხედავად ამისა, სექტემბრის პირველ რიცხვებში ოლიმპიურ ტრეკზე ფრანგების ტანდემი ალბათ საუკეთესო შთაბეჭდილებას მოახდენს.

შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში ყველაზე სუსტი რგოლი სპრინტია. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისა და შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ს. კრავცოვი ჯერ შორსაა საუკეთესო სპორტული ფორმისგან. დანიაში მან წინააღმდეგობა ვერ გაუწია არა მარტო მორელონს, არამედ ბევრ სხვა მრბოლელსაც. მართალია, მწვრთნელები ამტკიცებენ, რომ კრავცოვს მუდამ დიდი დრო სჭირდება ფორმის მისაღწევად და, ჩვეულებრივ, ყველაზე უკეთ მომზადებული აგვისტო-სექტემბერშია ხოლმე. ამიტომ მიუნჰენში იგი გაცილებით უკეთ უნდა გამოვიდეს. ვ. ტრიფონოვმა იოლად მოიგო საერთაშორისო შეჯიბრება გდრ-ში, მაგრამ აქ მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერები არ გამოდიოდნენ. მწვრთნელთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის ნ. სინანის აზრით, ტრიფონოვი ძალიან სუსტია ტაქტიკური და ტექნიკური მომზადების მხრივ, რის გამოც ოლიმპიადის სარბიელზე წარმატებას ალბათ ვერ მოიპოვებს. საბჭოთა გუნდის სხვა სპრინტერები კლასით ბევრად ჩამოუვარდებიან კრავცოვსაც და ტრიფონოვსაც. აშკარად არ არის ფორმაში ა. პოლეტაევი, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა.

ნამდვილი დისკუსია გაჩაღდა ო. ფხაკაძის ირგვლივ. როგორც ცნობილია, ქართველი მრბოლელი ძალიან გვიან შეუდგა მზადებას და სეზონის დამდეგს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის სხვა წევრებს მეტოქეობა წარმატებით ვერ გაუწია. მაისში მან მოიგო საკავშირო შეჯიბრება, სადაც სსრ კავშირის ნაკრებიდან სულ ორი კაცი გამოდიოდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ხელი მოეცარა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში „მილანის დიდ პრიზზე". მან პირველი სერია მოუგო გდრ-ის წარმომადგენელ ოტოს, ახალგაზრდა ველოსიპედისტებს კატინგსა და ნოტარის, მაგრამ მეექვსედფინალში წააგო ჰოლანდიელ ვან დოორნთან და იტალიელ ფეროსთან, სანუგეშო სერიაში კი სამ იტალიელთან (მარინო, ფრატარქანჯელი და მიკელეტი) დამარცხდა. ამ დროს კრავცოვი რვა საუკეთესოს შორის აღმოჩნდა, სემენეცი კი უძლიერესთა ექვსეულში. გავიხსენებთ, რომ აქ პირველი ადგილები დაიკავეს მორელონმა, აგრეთვე, იტალიელებმა ე. კარდიმ და დ. როსიმ.

მილანში გამართული შეჯიბრების შემდეგ ო. ფხაკაძე „ტულის დიდი პრიზის" გათამაშებაში არ გამოსულა. ეს რწმენის დაკარგვას მიაწერეს. ახლა ფხაკაძე ხარკოვში ვარჯიშობს და „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის ემზადება, მაგრამ ალბათ ძალიან დიდი მუშაობა დასჭირდება, რათა მიუნჰენის ოლიმპიური საგზური მოიპოვოს. ჯერჯერობით არც ნაკრების მწვრთნელები და არც ფედერაციის ხელმძღვანელები მისთვის ადგილს არ ვარაუდობენ. განსაკუთრებით გააკრიტიკა ფხაკაძე ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კუპრიანოვმა. მან თქვა, რომ საზღვარგარეთ ფხაკაძე უკვე აღარ მიაჩნიათ მაღალი კლასის მრბოლელად და ყველა 18 წლის ჰოლანდიელსა თუ იტალიელ მრბოლელს შეუძლია სულ იოლად გაუსწოროს მას ანგარიში. სადღეისოდ ფხაკაძე ცუდადაა მომზადებული, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მილანში გამართული შეჯიბრება და ქართველი ველოსიპედისტის უარი „ტულის დიდი პრიზის" გათამაშებაში მონაწილეობაზე. ფხაკაძის შედეგები 200 მეტრზე (10,6-10,8 წამი) თბილისის ახალ ტრეკზე ვარჯიშის დროს არაფერს ნიშნავს, შეჯიბრებები კი მოწმობს, რომ ფხაკაძე უკვე აღარ ჩაითვლება უმაღლესი კლასის სპრინტერად, — დაასრულა თავისი გამოსვლა კუპრიანოვმა.

აშკარაა, ფხაკაძეს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის იმედი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს (მიუნჰენში თითოეულ ქვეყანას სპრინტში მხოლოდ ორი სპორტსმენის გამოყვანა შეუძლია), თუ ლიეპაიაში, სსრ კავშირის ჩემპიონატში, ოქროს მედალს მოიგებს, თანაც, მოიგებს არა შეუპოვარ ბრძოლაში, ვთქვათ, ფოტოფინიშის დახმარებით, არამედ დიდი უპირატესობით, როგორც გასულ წლებში. ჩვენი აზრით, მცირე უპირატესობით მოგებული მედალი, თუნდაც ოქროსი იყოს, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებს ვერ გააბედვინებს, რომ მიუნჰენის საგზური ქართველ სპრინტერს ანდონ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ფხაკაძე დარჩენილ ერთ თვეს სსრ კავშირის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. შეძლებს თუ არა იგი გამოიჩინოს მისთვის ჩვეული ვაჟკაცობა და დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ქვეყნის უპირველესი სპრინტერია? შეძლებს თუ შეურიგდება თავის ხვედრს? ამას ალბათ მალე შევიტყობთ.

რაც შეეხება სსრ კავშირის დანარჩენ უძლიერეს მრბოლელებს, ივლისის პირველ რიცხვებში ისინი მიუნჰენს გაფრინდებიან, სადაც ოლიმპიურ ტრეკზე ექვსი ქვეყნის ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასპარეზობაში მოსინჯავენ ძალას.

**მ. ბარამია,**
სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

* * *

ამ დღეებში ხარკოვში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა. ო. ფხაკაძემ წარმატებით იასპარეზა: მოიგო სპრინტი და III ადგილი დაიკავა 1 კმ-ზე გიტში.

# ფიშერის არასაჭადრაკო „სვლები"

მსოფლიო პირველობაზე მოჭადრაკეთა ფინალური მატჩის დაწყებამდე სულ ორიოდე დღე რჩებოდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავით, რომ იგი დანიშნულ დღეს — 2 ივლისს აიღებდა სტარტს. და ისევ ამ დაძაბული ვითარების მიზეზად (უკვე მერამდენედ!) პრეტენდენტი — ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ფიშერი მოგვევლინა. ამ დღეებში მან რამდენიმეჯერ ჩააბარა თავისი ავიაბილეთი რეიკიავიკამდე და გაუჩინარდა. მოსვენებულმა ამერიკელმა რეპორტიორებმა ვერ მიაგნეს მისი „დამალვის" ადგილს, ხოლო ფიშერის ნდობით აღჭურვილი პირები უარს ამბობენ რაიმე ცნობები ან კომენტარები მიაწოდონ დაინტერესებულთ...

ჭადრაკის ქომაგებმა იციან, რაოდენი ტახჯვა-წვალებით მიმდინარეობდა სამზადისი ამ მატჩისთვის. პრეტენდენტის მოთხოვნები და კაპრიზები ახალ-ახალ სიძნელეებს წარმოშობდა. მატჩის ორგანიზატორები ბელგრადში იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე — იუგოსლავიის დედაქალაქში შეჯიბრების პირველი ნახევრის ჩატარებაზე.

ამას მოჰყვა მოლაპარაკებათა ახალი სერია და, ბოლოს, მატჩის ადგილად ისლანდიის დედაქალაქი დაასახელეს. ფიშერმა თანხმობა მისცა „საკონტროლო დროის" გასვლამდე თითქმის... ერთი საათით ადრე. და აი, იგი ისევ ცდილობს დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფოს ყველა.

ცხადია, მას რეიკიავიკში ზედ მატჩის წინ ჩასვლის უფლება აქვს. მაგრამ მაშინ ფიშერმა ხომ წინასწარ უნდა გააფრთხილოს დაინტერესებული პირები. სხვანაირად მისი ნაბიჯი შეიძლება განვიხილოთ როგორც უპატივცემლობა შეჯიბრების ორგანიზატორთა მიმართ, რომლებიც მას გაცილებით ადრე ელოდნენ. მაგრამ ეს ფიშერის ნამუსზე იყოს.

ამერიკული საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების ცნობები ნათელს ჰფენს პრეტენდენტის საქციელის მოტივებს. „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" წერს, რომ რეიკიავიკში ფიშერის გაფრენა მატჩის მომწყობთა მიმართ ფინანსური პრეტენზიების გამო ჭიანურდება. უკვე დათქმული უპრეცედენტო თანხის გარდა, იგი შესასვლელი ბილეთების შემოსავლიდან თავის სასარგებლოდ კიდევ 30 პროცენტს თხოულობს.

ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი კი იუწყება, რომ ფიშერი იმუქრება „მატჩზე არ წავალ, თუ ყველა ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილესო"...

ამერიკის პრესაში ისიც აღნიშნეს, რომ ფიშერი „ნერვების ომს" აწარმოებს მეტოქესთან (მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი რეიკიავიკში 21 ივნისს ჩავიდა). მაგრამ ესეც ფიშერის ნამუსზე იყოს. დავუბრუნდეთ კონფლიქტის მიზეზთა სათავეს.

ფიშერი გამდიდრების საზიზღარ სურვილს აუტაცნია. დამახასიათებელია, რომ მისი ნდობით აღჭურვილი პირები მოჭადრაკეები კი არა, ვექილები არიან. სწორედ ვექილებს დაავალა მან თავისი საჭადრაკო საქმეები. სწორედ მათთან და არა ამერიკის ჭადრაკის ფედერაციასთან უხდებათ მატჩის ორგანიზატორებს ფიშერთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარმოება. და ეს მოლაპარაკება უპირველესად ყოვლისა შეჯიბრებაში ფიშერის მონაწილეობის ფინანსურ პირობებს ეხება.

სადაც ფიშერია, იქ პირველ პლანზე ფული ამოტივტივდება ხოლმე, რომელიც სპორტის მოტივებს ჩრდილავს. აი, რარიგ უჩვეულო განცხადება გააკეთეს მატჩის ორგანიზატორებმა რეიკიავიკში. გაყიდულია არა მარტო ტელეტრანსლაციის (ეს უწინაც მომხდარა), არამედ ფოტოგრაფირების უფლებაც. გაყიდულია (არ უთქვამთ, ვის მიყიდეს) პარტიების სვლების გადაცემის უფლებაც კი. მატჩის მომსახურე ჟურნალისტებს ნება მიეცემათ პარტიის მსვლელობის დროს მხოლოდ სამჯერ გადასცენ მასალები (ჟურნალისტებს მოსთხოვენ შესაბამის ვალდებულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დარბაზში არ დაუშვებენ).

მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. მაგრამ იმიტომ ხომ არ შეიქმნა ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ვითარება, რომ ფიშერი სულ უფრო და უფრო მეტ ფულს მოითხოვს?

30 ივნისის დილას ფიშერი ნიუ-იორკის აეროპორტში გამოჩნდა. მაგრამ არც მაშინ იყო ნათელი, ბოლოს და ბოლოს გაფრინდება თუ არა იგი... ალბათ ფიშერი მაინც გაფრინდა, ვინაიდან მას ნაკლებად უნდა აინტერესებდეს რეიკიავიკში ბოლო მომენტში გამოჩენა. სხვათა შორის, კენჭისყრა (ვინ დაიწყოს თეთრებით) 1 ივლისისთვისაა დანიშნული...

ასე: მატჩში პირველი სვლის უფლება ჯერ კიდევ არ განუსაზღვრავთ, რობერტ ფიშერმა კი უკვე გააკეთა ბევრი „სვლა", მაგრამ საჭადრაკო დაფაზე კი არა, — ბიზნესის სარბიელზე.

**ა. სტაროდუბი.**
([illegible])

# [illegible]-72

● კოპენჰაგენი, 28 ივნისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დანიის რეკორდი დაამყარა გ. ლარსენმა, რომელმაც 1500 მ 3 წუთსა და 39,4 წამში გაირბინა. II ადგილზეა ბელგიელი ა. მინიო — 3.39,7. ასეთივე შედეგი აქვს III ადგილზე გასულ შვედ გ. გუმანს. 800 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონმა, იუგოსლაველმა ვერა ნიკოლიჩმა მოიგო „თავისი" დისტანცია — 2.04,7. უროს ტყორცნაში ევროპის ჩემპიონმა უ. ბაიერმა (გფრ) 72,24 მეტრზე გაგზავნა ეს იარაღი, ხოლო მისი თანაგუნდელი რ. კურეცკი საუკეთესო იყო ჭოკით ხტომაში — 528 სმ. 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ავსტრალიელმა პ. კილბორნმა — 13,2.

● ათენი, 28 ივნისი. დიდი ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა 26 წლის ჯ. დუგლასმა, რომელმაც 1500 მ 3 წუთსა და 38,7 წამში გაირბინა (მეორე შედეგი წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე). დიდი ბრიტანეთის რეკორდი დაამყარა, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონმა, ედინბურგელმა სტუდენტმა, 20 წლის დ. ჯენკინსმა. მისი შედეგი — 45,3 წამი 400 მეტრზე რბენაში საუკეთესოა წლეულს ევროპაში. ბ. ინკპენი ფოსბიურის ყაიდით 183 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო, ხოლო ა. პასკოემ 110 მეტრზე თარჯრბენში 13,7 წამი აჩვენა. შეჯიბრების მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა ვ. პაპაგეორგოპულოსმა, რომელმაც 100 მ 10,1 წამში დაფარა.

● ვარშავა, 29 ივნისი. ი. კუსოჩინსკის მემორიალის (ამ საერთაშორისო ტურნირში 18 ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობენ) მეორე, დასკვნით დღეს მოასპარეზეებმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. სამი ოლიმპიადის მონაწილემ, 32 წლის ავსტრალიელმა პ. კილბორნმა 100 მეტრზე თარჯრბენში ამ ორიოდე კვირის წინათ 22 წლის ა. ერჰარდტის (გდრ) მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 12,5 წამი. II-III ადგილებზე ერთნაირი დროით (12,7) გავიდნენ პოლონელები დ. სტრაშინსკა და გ. რაბშტინი. ტ. კულჩიცკიმ პოლონეთის რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,8. 200 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ი. შევინსკამ ბრწყინვალე შედეგით მოიგო „თავისი" დისტანციის ფინალური გარბენი — 22,7. ა. კუჩინსკმა (პოლონეთი) 800 მეტრზე რბენაში 1.46,8 აჩვენა, ხოლო ავსტრალიელმა ქ. ო'ბრაიენმა 5000 მეტრზე რბენაში — 13.39,8. ვ. კომარმა (პოლონეთი) 20,82 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

● ჰელსინკი, 29 ივნისი. რ. ვილენმა ფინეთის რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში — 10,1 (ეს სკანდინავიის ქვეყნების უმაღლესი მიღწევაცაა). ტ. ჰანტანენმა (ფინეთი) 3000 მ წინაღობებით 8 წუთსა და 25,6 წამში გაირბინა, ხოლო შვედმა ი. დალგრენმა ყველას აჯობა სიმაღლეზე ხტომაში — 219 სმ.

# გაცრუებული იმედები

ამ დღეს ჯო ფრეზიერი ლას-ვეგასში არ იყო. მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ამაოდ ეძებდნენ ჟურნალისტები. ინტერვიუ ტახტის მფლობელთან არც ბრძოლის დაწყებამდე შედგა, არც მის შემდეგ. არადა ყველას აინტერესებდა „რკინის ჯოს" აზრი. სად იყო ამ დღეს ჩემპიონი? ამბობენ, თავისი საწვრთნელი ბაზის აივანზე არხეინად იჯდა სავარძელში და ტელევიზორით ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა რინგზე.

ლას-ვეგასში კი ამ დროს თეთრკანიან რასისტთა იმედები იმსხვრეოდა. იფუშებოდა საგანგებოდ მომზადებული სპექტაკლი, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, ამერიკა „სირცხვილისგან" უნდა გადაერჩინა.

მსოფლიოს პირველობის მატჩები მუდამ საგანგებოდაა ორგანიზებული და მაყურებლების დიდ ინტერესს იწვევს. ამჯერად კი შეხვედრა ორმაგად საინტერესო იყო იმათთვის, ვინც სპორტში რასიზმის ელემენტებს აღვივებს. მუჰამედ ალი ზანგია. შავი ფერის კანი აქვს ბობ ფოსტერსაც — მსოფლიოს გვირგვინოსან ჩემპიონს ქვემძიმე წონაში, მაგრამ ამის გამო ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ წაართმევ ტიტულს.

ჯერი ქვორი და მისი უმცროსი ძმა მაიკი კარგა ხანია გვირგვინის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან. ისინი შესანიშნავი მოკრივეები არიან, მაგრამ რასისტულმა ამერიკამ მათ განსაკუთრებული მისია ამის გამო კი არ დააკისრა, არამედ იმიტომ, რომ ჯერისაც და მაიკსაც თეთრი კანი აქვთ.

ერთი სიტყვით, ლას-ვეგასი და არა მარტო ეს ქალაქი, არამედ მთელი ამერიკა ორი დიდი ამბის მოწმე უნდა გამხდარიყო. 27 ივნისს რინგზე თავდაპირველად ქვემძიმე წონის პროფესიონალები გამოვიდნენ — ბობ ფოსტერი და მაიკ ქვორი. მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო და ბრძოლაც მეოთხე რაუნდში შეწყდა. ნოკაუტირებული მაიკი რის ვაი-ვაგლახით გაიტანეს რინგიდან.

ჯერიმ უფრო დიდ ხანს დაჰყო რინგზე, მაგრამ პირველივე რაუნდის მერე ცხადი გახდა, რომ ადრე თუ გვიან უფროსი ძმა უმცროსის ბედს გაიზიარებდა. ექვს რაუნდში არბიტრმა ორჯერ სცადა ბრძოლის შეწყვეტა, მაგრამ ვერ გაბედა. მეშვიდე რაუნდში კი ბრძოლა უკვე უაზრო იყო. ალიმ კიდევ ორჯერ გამოიყენა თავისი ულმობელი „მარცხენა" და ყველაფერი დასრულდა: მან ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

ასეთია მოკლედ გაცრუებული იმედების ისტორია. ფოსტერმა შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული, ალიმ კი ბოლო ნაბიჯი გადადგა დაკარგული ტახტისკენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

22 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02583